EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი №4731/10
ვახტანგ მენაბდე
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი, *თავმჯდომარე,*

ფარის ვეჰაბოვიჩი, იონკო გროზევი, *მოსამართლეები,*

და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მიიღო მხედველობაში 2010 წლის 18 იანვარს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მიიღო მხედველობაში მოპასუხე მთავრობის მიერ 2015 წლის 9 ივლისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელშიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას, ასევე მომჩივნის პასუხი ამ დეკლარაციაზე,

განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი ვახტანგ მენაბდე, არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1987 წელს და მცხოვრები ქ. თბილისში. მას სასამართლოში წარმოადგენდნენ ადვოკატები, ქ-ნი თ. აბაზაძე და ქ-ნი ქ. შუბაშვილი, რომლებიც საქმიანობენ თბილისში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში "მთავრობა") წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

4. 2009 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, ქ. თბილისის სხვადასხვა უბანში, ასევე ქვეყნის კიდევ რამდენიმე ძირითად ქალაქში ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ყოველდღიურად მართავდა დემონსტრაციებს. ამ მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შექმნა 24-საათიანი მონიტორინგის ჯგუფი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დაფიქსირების მიზნით.

5. ზემომითითებულ პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტი, სადაც, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან დემონსტრანტების მიმართ ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი. წინამდებარე საჩივარი ეხება ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, რომელიც მოხდა 2009 წლის 15 ივნისს.

6. კერძოდ, 2009 წლის 15 ივნისის დილას ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის ორმოცდაათამდე წევრი და მხარდამჭერი შეიკრიბა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან, რამდენიმე დღით ადრე ოპოზიციის აქტივისტების დაკავების გასაპროტესტებლად. მომჩივანი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის ზემოხსენებული მონიტორინგის ჯგუფის წევრი იყო, საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ესწრებოდა ქუჩის საპროტესტო აქციას.

7. აქციის მიმდინარეობიდან თხუთმეტი-ოცი წუთის გასვლის შემდეგ, პოლიციამ დაიწყო აქციის მონაწილეების ძალისმიერი მეთოდებით დაშლა. მომჩივნის განცხადებით, აქციის დაშლაში მონაწილე პოლიციელებმა მას ხერხემლის, თავისა და ხელების არეში, ხელკეტებით მიაყენეს რამდენიმე დარტყმა. საპროტესტო აქციის დაშლის შემდეგ, რამდენიმე მონაწილე, მათ შორის მომჩივანი, პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში გადაიყვანეს. მომჩივანი მოათავსეს საკანში. თუმცა, თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლიციელმა იგი გაათავისუფლა და განუმარტა, რომ ის შეცდომით დააკავეს.

8. 2009 წლის 23 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა მომჩივნის სახელით მიმართა მთავარ პროკურორს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და უკანონო დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით.

9. 2009 წლის 17 აგვისტოს, მთავარმა პროკურატურამ აცნობა სახალხო დამცველს, რომ 2009 წლის 15 ივნისის ინციდენტის თაობაზე აღიძრა ერთიანი სისხლის სამართლის საქმე და რომ გამოძიების შედეგები გონივრულ ვადაში გასაჯაროვდებოდა.

10. 2009 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველი დაინტერესდა გამოძიების მიმდინარეობით, საერთოდ იყო თუ არა დაწყებული. იგივე მოთხოვნებით მიმართა პროკურატურას მომჩივნის ადვოკატმა 2009 წლის 20 ნოემბერსა და 25 დეკემბერს, თუმცა ამ მოთხოვნებს პასუხი არ მოჰყოლია.

სამართალი

11. 2014 წლის 15 სექტემბერს სასამართლომ საჩივრის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნა მთავრობას კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

12. მთავრობამ 2015 წლის 9 ივლისის წერილით შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდა საჩივარში არსებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ცალმხრივი დეკლარაციის წარდგენა. ამასთან, მთავრობა მოითხოვდა საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

13. მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნული იყო:

„მთავრობა ავლენს ნებას აღიაროს შემდეგი სახის დარღვევები:

- კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი, 2009 წლის 15 ივნისის დემონსტრაციის მიმდინარეობისას მომჩივნისათვის სავარაუდოდ მიყენებული დაზიანებების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების არაეფექტიანობის გამო;

- კონვენციის მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მომჩივნის თავისუფლების აღკვეთის გამო;

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შესაბამის ეროვნულ სამართალდამცავ უწყებებს, სისხლის სამართლის საქმის ეფექტური

გამოძიების უფლებამოსილების მეშვეობით, 2009 წლის 15 ივნისის დემონსტრაციის დროს სავარაუდოდ მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, ყველაზე კარგად შეუძლიათ განსაზღვრონ მომჩივნის პრეტენზიები კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის საფუძველზე, მთავრობა, მომჩივნის საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იღებს ვალდებულებას:

- ჩაატაროს სწრაფი და ეფექტური გამოძიება, 2009 წლის 15 ივნისის დემონსტრაციის მიმდინარეობისას მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით;
- გადაუხადოს მომჩივანს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო ყველა მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარად, და ყველა სხვა გადასახადის ანაზღაურების სახით, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივანს. აღნიშნული თანხა კონვერტირებული იქნება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და გათავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისაგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ სამთვიან ვადაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას გადასახდელ თანხას დაუმატოს პროცენტი სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივი გადახდის დღემდე; ამ შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

14. 2015 წლის 16 სექტემბრის წერილში მომჩივანმა აღნიშნა, რომ ის არ იყო სრულად კმაყოფილი ცალმხრივი დეკლარაციის პირობებით. კერძოდ, ის ეთანხმებოდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილისა და ასევე მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მთავრობის მიერ მისი უფლებების დარღვევის ფაქტების აღიარებას; მან მაინც გამოხატა იმედგაცრუება იმის გამო, რომ ასევე არ მოხდა მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევის მკაფიო აღიარება. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ მთავრობას უნდა გაეზარდა მისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა.

15. კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გადაწყვიტოს, საჩივრის

განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა, თუკი გარემოებები მიიყვანს მას ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "ა", "ბ" ან "გ" ქვეპუნქტებით დადგენილ ერთ-ერთ დასკვნამდე. 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი შესაძლებლობას ანიჭებს სასამართლოს ამორიცხოს საჩივარი, თუ:

> "სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული".

16. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ გარკვეულ ვითარებაში მას შეუძლია, საჩივარი ამორიცხოს ნუსხიდან 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომჩივანი ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას. (იხ. Taktakishvili v. Georgia (განჩინება.), no. 46055/06, 2012 წ. 16 ოქტომბერი).

17. დამატებით, სასამართლო მიუთითებს, რომ მას შეუძლია, მიიღოს ცალმხრივი დეკლარაცია მაშინაც, თუკი წინასწარ ადგილი არ ჰქონია მეგობრული მორიგების თაობაზე მოლაპარაკებებს (იხ. Union of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia (განჩინება), no. 72874/01, §§ 23-30, 2015 წ. 21 აპრილი).

18. ამ მიზნით, სასამართლომ გულდასმით განიხილა დეკლარაცია მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კერძოდ ტაჰსინ აკარის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პრინციპების ჭრილში (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* (წინასწარი მოსმენა) [დიდი პალატა], no. 26307/95, 75-77-ე პარაგრაფები, ECHR 2003-VI); *WAZA Spółka z o.o. v. Poland* (განჩინება) no. 11602/02, 2007 წ. 26 ივნისი; და *Sulwińska v. Poland* (განჩინება) no. 28953/03 2007 წ. 18 სექტემბერი).

19. მომჩივნის არგუმენტებთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს, რომ მათ არ მიიჩნევს სათანადოდ საფუძვლიანად, რაც მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის მნიშვნელობას გადაწონიდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის აღიარება, რასაც ემატება სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებად ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება, არის გონივრული და საკმარისად ამომწურავი, რათა მოიცვას საკითხის არსი და აღარ ანიჭებს მომჩივანს უფლებას, რომ განაცხადოს პრეტენზია მსხვერპლის სტატუსზე იმ საფუძვლით, რომ მისი უფლებების დარღვევა კონვენციის ამ დებულების თანახმად კვლავ

გრძელდება (იხ. მაგალითისთვის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილება, *Prądzyński v. Poland* (განჩინება) №49284/10, 2014 წლის 25 მარტი, და ასევე შედარებისთვის საქმე: *დანელია საქართველოს წინააღმდეგ*, №68622/01, 40-46-ე პარაგრაფები, 2006 წლის 17 ოქტომბერი, სადაც ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსგავსი შემთხვევის არარსებობის გამო სასამართლომ ვერ შეძლო საჩივრის შეფასება კონვენციის მე-3 მუხლის არსებით ნაწილში; ასევე იხ. *ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება), №312/10ნ 2015 წლის 15 სექტემბერი).

20. რასაკვირველია, სასამართლო მოიხმობს იმ გარემოებას, რომ მას უკვე დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა ბევრ საქმეზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებზე, რომლებიც ეხება პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის განხორციელების ფაქტებს და ამ ფაქტებთან დაკავშირებით სათანადო გამოძიების არარსებობას, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეებში (იხ. სხვებს შორის საქმე: *ბელელური საქართველოს წინააღმდეგ*, №28490/02, 105-112-ე პარაგრაფები, 2014 წლის 7 ოქტომბერი; და საქმე: *დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ*, №73241/01, 35-47-ე პარაგრაფები, 2006 წლის 27 ივლისი).

21. მთავრობის დეკლარაციაში მითითებული აღიარების ხასიათისა და მომჩივნისათვის შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების ადეკვატურია (შედარებისთვის იხ. საქმე: *ბოჭორიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება), №652/10, მე-7 პარაგრაფი, 2015 წლის 30 ივნისი; *ბათიაშვილები საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება), №75737/11, მე-9 პარაგრაფი, 2015 წლის 30 ივნისი და საქმე: *ბექაური და სხვები*, ზემომითითებული განჩინება), სასამართლოს არ მიაჩნია გამართლებულად საჩივრის შემდგომი განხილვა (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი).

22. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი საკითხის თაობაზე არსებული ცალსახა და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის პირობებში, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შეჯამების შედეგად).

23. ბოლოს კი, სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ თუკი მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივ დეკლარაციაში მოყვანილ პირობებს, ამას შესაძლოა მოჰყვეს საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხაში კვლავ აღდგენა კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (იხ. საქმე *Josipović v. Serbia* (განჩინება), №18369/07, 2008 წლის 4 მარტი).

24. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით სასამართლომ ერთხმად,

გაითვალისწინა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად მოპასუხე მთავრობის მიერ გაკეთებული დეკლარაციის პირობები და ამ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის პროცედურა;

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვე-პუნქტის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობითი ფორმით 2015 წლის 5 ნოემბერს.

ფატოშ არაჩი
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი
თავმჯდომარე